სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N136

ქ. თბილისი "24" "06" 2013წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნოე ქინქლაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „სერვისი+" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით იმერლიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე–3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით მოთხოვნათა გათვალისწინებით და სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 7 თებერვლის N04–45/ო ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველის" საჭიროებისათვის, მის ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი, ამორტიზებული და შემდგომში გამოყენებისათვის უვარგისი ინვენტარის განადგურება–დამარხვის (CPV კოდი 90500000) გამარტივებული შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, ქალაქის ნაგავსაყრელი,

4.2. „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ მომსახურებაზე, გამოვლენილი დეფექტისა და უზუსტობის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება მომსახურების დასრულებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს"

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების" აქტი და წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები.

6.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 4.1. პუნქტში განსაზღვრული პირობის დასრულების შემდეგ 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

6.4. „მიღება-ჩაბარების" აქტის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. ხარისხიანად და დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;

7.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დაფინანსება წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. და 6.4. პუნქტების შესაბამისად;

7.2.2. დროულად უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" გასანადგურებელი ინვენტარის მიტანა ნაგავსაყრელზე.

7.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
8.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებს, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.
12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.
12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სოციალური მომსახურების სააგენტოს გურჯაანის რაიონული განყოფილების უფროსი ლეილა მურაკაშვილი

13.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

13.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

13.2.2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმება.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

15.1.2. მხარეთა შეთანხმებით.

15.1.3.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია 3 გვერდზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.3. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სოციალური მომსახურების სააგენტო ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144 საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	შპს „სერვისი+" ქ. გურჯაანი, 9 აპრილის ქ. N27 ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი:LBRTGE22 ა/ნ GE79LB0113154266328000 ს/კ 427716475
ნოე ქინქლაძე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	დავით იმერლიშვილი დირექტორი

ვიზირებულია: ზ. გუნცაძე

ნ. ხომასურიძე

მ. შავშიშვილია.